ჩვენთვის მნიშვნელოვანია მონაცემთა დაცვა

კონფიდენციალურობის დებულება ვებსაიტისთვის www.info.lidl

გმადლობთ, რომ დაინტერესდით კომპანიაში Lidl Stiftung & Co. KG (შემდგომში „Lidl“, „ჩვენ“, „ჩვენს“) მონაცემთა დაცვით. Lidl-ში გვსურს, რომ ჩვენი ვებსაიტის სტუმრობისას იგრძნოთ თავი კომფორტულად და უსაფრთხოდ და იცოდეთ, რომ ჩვენი კლიენტების მონაცემების დაცვა ჩვენი ერთ-ერთი განსაკუთრებული ვალდებულებაა.

მოცემულ კონფიდენციალურობის დებულებაში აღწერილია, თუ როგორ და რა მასშტაბით ხდება თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება თქვენ მიერ ვებსაიტის www.info.lidl სტუმრობისას და ჩვენს კონტრაქტორ მომწოდებლებთან და მწარმოებლებთან და ასევე, ჩვენი საკვები და არასაკვები პროდუქტების მომწოდებლების მომარაგების ჯაჭვში ჩართულ სხვა მესამე მხარეებთან ურთიერთობისას. პერსონალური მონაცემები წარმოადგენს ინფორმაციას, რომლითაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხდება ან შეიძლება მოხდეს თქვენი იდენტიფიცირება. მონაცემთა დაცვის კანონიერ საფუძველს კერძოდ წარმოადგენს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR).

I. მიმოხილვა

Lidl Stiftung & Co. KG-ის მიერ მონაცემთა დამუშავება შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს:

- თქვენ მიერ ვებსაიტზე წვდომისას თქვენს საბოლოო მოწყობილობასა და ჩვენს სერვერს შორის ხდება სხვადასხვა ინფორმაციის გაცვლა. ასეთი ინფორმაცია შეიძლება ასევე მოიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. ასეთი გზით შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება ჩვენი ვებსაიტის ოპტიმიზაციისთვის ან, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ვებსაიტზე თქვენი ქცევის გაანალიზებისთვის.
- მომარაგების ჯაჭვის გამჭვირვალობის მიზნებისთვის ვებსაიტზე www.info.lidl ვაქვეყნებთ Lidl Stiftung & Co. KG-ის კონტრაქტორი პარტნიორის მომარაგების ჯაჭვებს მწარმოებლებამდე და/ან ჩვენი საკვები და არასაკვები პროდუქტების მომწოდებლების მომარაგების ჯაჭვებში ჩართულ სხვა მესამე მხარეებამდე. ამ მიზნით შეგროვებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს პერსონალურ მონაცემებს.

II. ჩვენს ვებსაიტზე წვდომა

<u>დამუშავების მიზნები/კანონიერი საფუძველი:</u>

ჩვენს ვებსაიტზე წვდომისას თქვენს საბოლოო მოწყობილობაში გამოყენებული ბრაუზერი – ავტომატურად და თქვენი მხრიდან ყოველგვარი მოქმედების გარეშე – გააგზავნის

- იმ მოწყობილობის IP მისამართს, რომლიდანაც ხდება წვდომა ინტერნეტით;
- წვდომის თარიღსა და დროს;
- მოთხოვნილი ფაილის სახელსა და URL-ს;
- ვებსაიტს/აპლიკაციას, რომლიდანაც ხდება წვდომა (რეფერერის URL-ს);
- თქვენი ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერის ბრაუზერს და საჭიროების შემთხვევაში, ოპერაციულ სისტემას, ასევე თქვენი წვდომის პროვაიდერის სახელს

ჩვენი ვებსაიტის სერვერზე, სადაც ეს მონაცემები დროებით შეინახება ე.წ. ჟურნალის ფაილში შემდეგი მიზნებისთვის:

- უხარვეზო კავშირის უზრუნველსაყოფად;
- ჩვენი ვებსაიტის/აპლიკაციის მოხმარების მოხერხებულობის უზრუნველსაყოფად;
- სისტემის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასაანალიზებლად.

ჩამოთვლილი მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველია GDPR-ის მუხლი 6(1)(f). ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების დამუშავების მიზნები ჩვენს კანონიერ ინტერესს წარმოადგენს.

<u>მიმღებები/მიმღებთა კატეგორიები:</u>

ზემოაღნიშნულ დამუშავებასთან დაკავშირებით თქვენი მონაცემები ასევე ჩვენი სახელით დამუშავდება IT ჰოსტინგის მომსახურების სექტორში მომუშავე დამმუშავებლების მიერ. ასეთი დამმუშავებლების შერჩევა ხდება საგულდაგულოდ, მოწმდება ჩვენ მიერ და მათთან ფორმდება ხელშეკრულება GDPR-ის 28-ე მუხლის შესაბამისად.

<u>შენახვის დრო/შენახვის დროის განმსაზღვრელი კრიტერიუმები:</u>

მონაცემები შეინახება შვიდი დღის განმავლობაში და შემდეგ ავტომატურად წაიშლება.

III. მომარაგების ჯაჭვების გამოქვეყნება

<u>დამუშავების მიზნები/კანონიერი საფუძველი</u>

ჩვენ ვაგროვებთ და ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენს ვებსაიტზე www.info.lidl კონტრაქტორი პარტნიორიდან მწარმოებლამდე ჩვენი მომარაგების ჯაჭვების გამოსაქვეყნებლად. ჩვენ ვამუშავებთ მხოლოდ სახელისა და მისამართის მონაცემებს, რომლებსაც უმჟღავნებთ ჩვენს ერთ-ერთ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მომწოდებელს თქვენსა და იმ მომწოდებელს შორის არსებული მომარაგების ხელშეკრულების ფარგლებში. მომარაგების ჯაჭვები ქვეყნდება კანონიერი ინტერესების რეალიზებისთვის GDPR-ის 6(1)(f) მუხლის შესაბამისად. მომხმარებლებისთვის ჩვენი მომარაგების ჯაჭვების ყოველმხრივი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაბამისი დებულების მნიშვნელობით კანონიერ ინტერესად ითვლება. ინტერესების შეფასების შემდეგ არ ივარაუდება, რომ ამ ინტერესებს რაიმე უპირატესი ინტერესები ეწინააღმდეგება. მონაცემების დამუშავება რაიმე სხვა მიზნებისთვის ცალსახად არ ხდება.

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს და ყოველგვარი საფასურის გარეშე უარი თქვათ ზემოაღნიშნული მიზნებისთვის მონაცემების სამომავლო დამუშავებაზე. ამის გაკეთება შეგიძლიათ, მაგალითად, VII ნაწილში მითითებული საკონტაქტო პირისთვის ელფოსტის გაგზავნით. 9.

<u>მიმღებები/მიმღებთა კატეგორიები:</u>

ამ კანონიერი ინტერესების რეალიზებისა და დაცვის მიზნით თქვენი მონაცემები გამოქვეყნდება ვებსაიტზე www.info.lidl და შეიძლება ასევე ხელმისაწვდომი იყოს მესამე ქვეყნებში (იხილეთ VI ნაწილი). ჩვენს კომპანიაში თქვენს მონაცემებზე წვდომა მიეცემა იმ დეპარტამენტებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ასეთი მონაცემები კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის.

<u>შენახვის დრო/შენახვის დროის განმსაზღვრელი კრიტერიუმები:</u>

ამ ვებსაიტზე გამოქვეყნებული მომარაგების ჯაჭვები, ასევე მათთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები ყოველწლიურად ახლდება.

თქვენი პერსონალური მონაცემები შეინახება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემები შეინახება ჩვენს დისკზე 10 წლამდე ვადით, რათა შევძლოთ გამოყენების გაკონტროლება.

IV. ქუქი-ფაილების და სხვა მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება მოხმარების მონაცემების დასამუშავებლად

<u>დამუშავების მიზნები/კანონიერი საფუძველი:</u>

ჩვენ, Lidl Stiftung & Co. KG, მის.: Stiftsbergstraße 1, 74172 Neckarsulm, Germany, წარმოვადგენთ მონაცემთა დამუშავების მაკონტროლებელს, „**ქუქი-ფაილების**“ და **მოხმარების მონაცემების დამუშავების მიზნით სხვა მსგავსი ტექნოლოგიების** გამოყენებასთან დაკავშირებით ყველა (ქვე)დომენზე, მისამართზე https://info.lidl.

ქუქი-ფაილი მცირე ზომის ტექსტური ფაილია, რომელიც შეინახება თქვენს საბოლოო მოწყობილობაში (ლეპტოპში, პლანშეტში, სმარტფონში და ა.შ.) თქვენ მიერ ჩვენი ვებსაიტის სტუმრობისას. ქუქი-ფაილი არ აზიანებს თქვენს საბოლოო მოწყობილობას და არ შეიცავს ვირუსებს, ტროას ცხენებს ან სხვა მსგავს საზიანო პროგრამებს. ქუქი-ფაილში ინახება გარკვეული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ გამოყენებულ საბოლოო მოწყობილობასთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მაშინვე ამოვიცნობთ თქვენს ვინაობას.

მოხმარების მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებული ქუქი-ფაილები და სხვა ტექნოლოგიები გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის, ქუქი-ფაილების/სხვა ტექნოლოგიების კატეგორიების მიხედვით:

- **ტექნიკურად აუცილებელი**: ეს არის ქუქი-ფაილები და მსგავსი ტექნოლოგიები, რომელთა გარეშე ჩვენი სერვისებით ვერ ისარგებლებთ (მაგ., ისინი აუცილებელია ჩვენი ვებსაიტის/თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციების სწორად საჩვენებლად და ა.შ.).

- **პრიორიტეტები:** ამ მეთოდების გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ თქვენი ფაქტობრივი ან სავარაუდო პრიორიტეტები მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, შეგვიძლია გამოვიყენოთ თქვენი პარამეტრები ჩვენი ვებსაიტის თქვენთვის რელევანტურ ენაზე საჩვენებლად.

- **სტატისტიკა**: ამ ტექნოლოგიების საშუალებით შეგვიძლია ჩვენი სერვისების დიზაინის ადაპტირება მათი გამოყენების შესახებ ანონიმიზებული სტატისტიკის წარმოებით. მაგალითად, შეგვიძლია გამოვიყენოთ ისინი იმის დასადგენად, თუ როგორ მოვახდინოთ ჩვენი ვებსაიტის მომხმარებლის ჩვევების მიმართ უკეთ ადაპტირება.

ჩვენ მიერ გამოყენებული ქუქი-ფაილების და სხვა ტექნოლოგიების, მათ შორის დამუშავების შესაბამისი პერიოდების, შენახვის პერიოდებისა და პროცესში ჩართული მესამე მხარე პროვაიდერების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ჩვენი ქუქი-ფაილების პოლიტიკა.

მიზნის მიხედვით, მოხმარების მონაცემების დასამუშავებლად ქუქი-ფაილებისა და მსგავსი ტექნოლოგების გამოყენება მოიცავს შემდეგი ტიპის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, კერძოდ, როგორიცაა:

ტექნიკურად აუცილებელი:

- მომხმარებლის მიერ შეყვანილი მონაცემები მიმდინარე დომენისთვის მომხმარებლის თანხმობის სტატუსის შესანახად (მაგ., თანხმობა ქუქი-ფაილებზე);

- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები (მაგ., შესვლის განმეორებითი წარუმატებელი მცდელობების იდენტიფიცირება);
- მონაცემები მულტიმედიური კონტენტის გასაშვებად (მაგ., თქვენ მიერ არჩეული (პროდუქტის) ვიდეოს გაშვება).

პრიორიტეტები:

- პარამეტრები მომხმარებლის ინტერფეისის მოსარგებად (მაგ., უპირატესი ენის არჩევა);

სტატისტიკა:

- ფსევდონიმიზებული მოხმარების პროფილები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ვებსაიტის გამოყენების შესახებ. კერძოდ, ამაში შედის:
    - ბრაუზერის ტიპის/ბრაუზერის ვერსია;
    - გამოყენებული ოპერაციული სისტემა;
    - გამოყენებული მოწყობილობა;
    - რეფერერის URL (ანუ ადრე მონახულებული გვერდი);
    - იმ კომპიუტერის ჰოსტის სახელი, რომლიდანაც ხდება წვდომა (IP მისამართი);
    - სერვერის მოთხოვნის დრო;
    - ინდივიდუალური მომხმარებლის იდენტიფიკატორი; და
    - ვებსაიტზე გაშვებული მოვლენები (ვებგვერდების დათვალიერების ქცევა).
- ჩვეულებრივ ხდება IP მისამართის ანონიმიზება, რაც პრინციპში ნიშნავს, რომ თქვენი იდენტიფიცირება აღარ არის შესაძლებელი.

პრიორიტეტების და სტატისტიკის ქუქი-ფაილების გამოყენების კანონიერი საფუძველია GDPR-ის 6(1)(a) მუხლის შესაბამისად თქვენ მიერ გაცემული თანხმობა. ტექნიკურად აუცილებელი ქუქი-ფაილების კანონიერი საფუძველია GDPR-ის მუხლი 6(1)(f), რადგან ჩვენ გვაქვს თქვენთვის ფუნქციონალური ვებსაიტის შემოთავაზების კანონიერი ინტერესი.

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ/შეცვალოთ თქვენი თანხმობა სამომავლო დამუშავებაზე, რაც გავლენას არ მოახდენს იმ დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც მოხდა თანხმობის გაუქმებამდე. დააწკაპუნეთ აქ არჩევანის გასაკეთებლად.

<u>მიმღებები/მიმღებთა კატეგორიები:</u>

მოხმარების მონაცემების დასამუშავებლად ქუქი-ფაილების და მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენებისას ჩვენ შეიძლება ზოგჯერ მოვიზიდოთ სპეციალიზებული სერვისის პროვაიდერები მონაცემების დასამუშავებლად. ისინი ჩვენი სახელით ამუშავებენ თქვენს მონაცემებს დამმუშავებლების სახით. თითოეული მათგანი საგულდაგულოდ იქნა შერჩეული და მასთან დაიდო ხელშეკრულება GDPR-ის 28-ე მუხლის შესაბამისად. ყველა კომპანია, რომელიც ჩამოთვლილია სერვისის პროვაიდერების სიაში ჩვენს ქუქი-ფაილების პოლიტიკაში, ჩვენი სახელით მოქმედებს, როგორც დამმუშავებელი.

Google LLC-თან ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში, ზემოაღნიშნული მონაცემები სტატისტიკური მიზნებისთვის ზოგადად მუშავდება ასევე აშშ-ში განლაგებულ სერვერებზე.

შენახვის დრო/შენახვის დროის განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

ინფორმაციისთვის ქუქი-ფაილების შენახვის ვადის შესახებ იხილეთ ჩვენი ქუქი-ფაილების პოლიტიკა. თუ „მოქმედების ვადის“ სვეტში შეყვანილია „მუდმივი“, ქუქი-ფაილი სამუდამოდ შეინახება შესაბამისი თანხმობის გაუქმებამდე.

V. მომხმარებელთა მომსახურება

დამუშავების მიზნები/კანონიერი საფუძველი:

ყველა პერსონალურ მონაცემს, რომელსაც საკონტაქტო ფორმის საშუალებით, ტელეფონით, ელფოსტით ან სოციალური მედიის მეშვეობით (მაგ., მომხმარებელთა მომსახურების სამსახურთან დაკავშირებისას) წარმოგვიდგენთ, კონფიდენციალურად ვამუშავებთ. თქვენს მონაცემებს მხოლოდ თქვენი მოთხოვნის დამუშავების შეზღუდული მიზნისთვის ვიყენებთ. მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველია GDPR-ის მუხლები 6(1)(f) და 6(1)(b). ამ მონაცემების დამუშავების ჩვენი საზიარო (კანონიერი) ინტერესი გამომდინარეობს ყველა იმ მოთხოვნაზე პასუხის გაცემისა და ყველა იმ პრობლემის მოგვარების მიზნიდან, რომელიც შეიძლება გქონდეთ და შესაბამისად, თქვენი, როგორც კლიენტის, ან ჩვენი ვებსაიტის სხვა მომხმარებლის კმაყოფილების დონის გაუმჯობესების მიზნიდან.

მიმღებები/მიმღებთა კატეგორიები:

თქვენს მოთხოვნებზე პასუხის გაცემისას თქვენს მონაცემებს ჩვენი სახელით ასევე დაამუშავებენ დამმუშავებლები, რომლებიც წარმოადგენენ მომხმარებელთა მომსახურების სპეციალისტებს. ასეთი დამმუშავებლების შერჩევა ხდება საგულდაგულოდ, მოწმდება ჩვენ მიერ და მათთან ფორმდება ხელშეკრულება GDPR-ის 28-ე მუხლის შესაბამისად.

გარდა ამისა, თქვენი მოთხოვნის დამუშავების მიზნით შეიძლება ასევე დაგვჭირდეს თქვენი მოთხოვნის ფრაგმენტების გადაცემა კონტრაქტორი პარტნიორებისთვის (მაგ., მომწოდებლებისთვის პროდუქტთან დაკავშირებული მოთხოვნის შემთხვევაში). ასეთ შემთხვევაში წინასწარ მოხდება თქვენი მოთხოვნის ანონიმიზება, რაც ნიშნავს, რომ მესამე მხარე ვერ შეძლებს თქვენს იდენტიფიცირებას. თუ ინდივიდუალურ შემთხვევებში საჭირო გახდება თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა, ჩვენ წინასწარ შეგატყობინებთ ამის შესახებ და მივიღებთ თქვენს თანხმობას.

ჩვენ არ გადავცემთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მესამე მხარეებს, სანამ ამაზე ცალსახა თანხმობას არ განაცხადებთ.

შენახვის დრო/შენახვის დროის განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

ჩვენ წავშლით ან მოვახდენთ ყველა იმ პერსონალური მონაცემის ანონიმიზებას, რომელსაც თქვენგან მივიღებთ, როდესაც მოთხოვნებს წარმოადგენთ (დადებით/უარყოფით კომენტარებს ან შეთავაზებებს) ვებსაიტის საშუალებით ან ელფოსტით, საბოლოო პასუხის გამოგზავნის შემდეგ არაუგვიანეს 90 დღისა. გამოცდილებიდან გამომდინარე, 90 დღის შემდეგ ჩვენ ჩვეულებრივ არ ვიღებთ კითხვებს ჩვენი პასუხების შესახებ. თუ იცავთ თქვენს, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებებს (იხილეთ ქვემოთ მოცემული VI ნაწილი), თქვენი პერსონალური მონაცემები შეინახება სამი წლის განმავლობაში საბოლოო პასუხის შემდეგ, რათა მოხდეს იმ ფაქტის დოკუმენტირება, რომ ჩვენ წარმოგიდგინეთ ამომწურავი ინფორმაცია და რომ კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნა.

VI. მონაცემთა გადაცემა მიმღებებისთვის მესამე ქვეყანაში

თუ ჩვენ მონაცემებს გადავცემთ მიმღებებს მესამე ქვეყანაში (რომელიც ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთაა), ეს გამოჩნდება ინფორმაციაში მიმღებების/მიმღებთა კატეგორიების შესახებ შესაბამისი მონაცემების დამუშავების აღწერაში. ზოგიერთი მესამე ქვეყანა სერტიფიცირებულია ევროკომისიის მიერ ე.წ. ადეკვატურობის შესახებ გადაწყვეტილებების მეშვეობით, როგორც ქვეყანა, რომელშიც მონაცემთა დაცვის დონე ევროპის ეკონომიკურ ზონაში არსებულის ანალოგიურია. ამ ქვეყნების სია იხილეთ გვერდზე http://ec.europa.eu/justice/data-protection/international-transfers/adequacy/index_en.html. თუ მოცემულ ქვეყანაში არ არსებობს მონაცემთა დაცვის ანალოგიური სტანდარტი, ჩვენ ვიღებთ სხვა ზომებს ადეკვატური დონის მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად სხვა მეთოდებით, როგორიცაა იურიდიულად სავალდებულო კორპორატიული წესები, ევროკომისიის სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, სერტიფიკატები ან აღიარებული ქცევის კოდექსები. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს (მუხლი 9).

VII. მონაცემთა სუბიექტების უფლებები

ჩვენთვის მოცემული თანხმობის გაუქმების უფლების გარდა, თქვენ ასევე გაქვთ შემდეგი დამატებითი უფლებები, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ჩვენთან შენახულ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება GDPR-ის მე-15 მუხლის შესაბამისად;
- არასწორი პერსონალური მონაცემების შესწორების უფლება და არასრული პერსონალური მონაცემების შევსების უფლება GDPR-ის მე-16 მუხლის შესაბამისად;
- ჩვენთან შენახული თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლის უფლება GDPR-ის მე-17 მუხლის შესაბამისად;
- თქვენი მონაცემების დამუშავების შეზღუდვის უფლება GDPR-ის მე-18 უფლების შესაბამისად;
- მონაცემთა პორტატიულობის უფლება GDPR-ის მე-20 მუხლის შესაბამისად;
- გაპროტესტების უფლება GDPR-ის 21-ე მუხლის შესაბამისად;

1. წვდომის უფლება GDPR-ის მე-15 მუხლის შესაბამისად

GDPR-ის 15(1) მუხლის შესაბამისად, თქვენ გაქვთ უფლება უფასოდ მოითხოვოთ ინფორმაცია ჩვენთან შენახული თქვენი პერსონალური მონაცემების შესახებ. კერძოდ, ამაში შედის:

- რა მიზნებისთვის მუშავდება პერსონალური მონაცემები;
- რა კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება;
- მიმღებები ან მიმღებთა კატეგორიები, რომელთათვისაც გამჟღავნებული იქნა ან გამჟღავნებული იქნება თქვენი პერსონალური მონაცემები;
- თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვის დაგეგმილი ხანგრძლივობა, ან, თუ კონკრეტული დეტალების წარმოდგენა შეუძლებელია, კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება შენახვის ხანგრძლივობის დასადგენად;

- თქვენი პერსონალური მონაცემების შესწორების ან წაშლის უფლების არსებობა, მაკონტროლებლისგან დამუშავების შეზღუდვის მოთხოვნის უფლების არსებობა ან ამგვარი დამუშავების გაპროტესტების უფლების არსებობა;
- საზედამხედველო ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება;
- ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მონაცემების წარმოშობის შესახებ, თუ პერსონალური მონაცემები არ იქნა შეგროვებული მონაცემთა სუბიექტისგან;
- გადაწყვეტილების მიმღები ავტომატიზებული პროცესების, მათ შორის პროფილირების არსებობა GDPR-ის 22(1) და (4) მუხლის შესაბამისად და – სულ მცირე მოცემულ შემთხვევებში – მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკისა და მონაცემთა სუბიექტისთვის ამგვარი დამუშავების მნიშვნელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე.

თუ ხდება პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, თქვენ გაქვთ უფლება ინფორმირებული იქნეთ გადაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი უსაფრთხოების ზომების შესახებ GDPR-ის 46-ე მუხლის შესაბამისად.

2. შესწორების უფლება GDPR-ის მე-16 მუხლის შესაბამისად

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი არასწორი პერსონალური მონაცემების შესწორება. დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, თქვენ გაქვთ უფლება შეავსოთ არასრული პერსონალური მონაცემები, მათ შორის დამატებითი განცხადების წარმოდგენის გზით.

3. წაშლის უფლება GDPR-ის მე-17 მუხლის შესაბამისად

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, თუ არსებობს ერთ-ერთი საფუძველი შემდეგიდან:

- პერსონალური მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ისინი შეგროვდა ან სხვაგვარად დამუშავდა;
- თქვენ აუქმებთ თქვენს თანხმობას, რომლის საფუძველზეც ხდებოდა დამუშავება GDPR-ის 6(1)(a) ან 9(2)(a) მუხლის შესაბამისად და დამუშავების კანონიერი საფუძველი აღარ არსებობს;
- თქვენ აპროტესტებთ დამუშავებას GDPR-ის 21(1) ან (2) მუხლის შესაბამისად და GDPR-ის 21(1) მუხლის შემთხვევაში, არ არსებობს უპირატესი კანონიერი საფუძველი დამუშავებისთვის;
- პერსონალური მონაცემები უკანონოდ დამუშავდა;
- პერსონალური მონაცემების წაშლა საჭიროა სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად;
- პერსონალური მონაცემები შეგროვდა ინფორმაციული საზოგადოების სერვისების შეთავაზებასთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულია GDPR-ის მუხლში 8(1).

თუ ჩვენ პერსონალური მონაცემები საჯარო გავხადეთ და ვალდებული ვართ წავშალოთ ისინი, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და განხორციელების ღირებულების გათვალისწინებით, ჩვენ გონივრულ ზომებს მივიღებთ, რათა ვაცნობოთ მესამე მხარეებს, რომლებიც ამუშავებენ თქვენს მონაცემებს, იმ ფაქტის შესახებ, რომ თქვენ მოითხოვეთ ამ

მესამე მხარეების მიერ ასეთი პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ბმულის, ასლის ან დუბლიკატის წაშლა.

4. დამუშავების შეზღუდვის უფლება GDPR-ის მე-18 მუხლის შესაბამისად

თქვენ გაქვთ უფლება მოგვთხოვოთ შევზღუდოთ დამუშავება შემდეგიდან ერთ-ერთ შემთხვევაში:

- თქვენ სადავოდ ხდით პერსონალური მონაცემების სიზუსტეს;
- დამუშავება უკანონოა და წაშლის ნაცვლად თქვენ მოითხოვთ პერსონალური მონაცემების გამოყენების შეზღუდვას;
- მაკონტროლებელს აღარ სჭირდება პერსონალური მონაცემები დამუშავების მიზნებისთვის, მაგრამ ისინი საჭიროა მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი პრეტენზიების წარსადგენად, განსახორციელებლად ან დასაცავად; ან
- თქვენ გააპროტესტეთ დამუშავება GDPR-ის 21(1) მუხლის შესაბამისად და მაკონტროლებლის კანონიერი საფუძვლების უპირატესობა მონაცემთა სუბიექტის კანონიერ საფუძვლებთან შედარებით შემოწმების პროცესშია.

5. მონაცემთა პორტატიულობის უფლება GDPR-ის მე-20 მუხლის შესაბამისად

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებიც წარმოგვიდგინეთ, სტრუქტურირებული, საყოველთაოდ გავრცელებული და მანქანით წაკითხვადი ფორმატით და თქვენ გაქვთ უფლება გადასცეთ ეს მონაცემები სხვა მაკონტროლებელს ჩვენი მხრიდან დაბრკოლებების შექმნის გარეშე, თუ

- დამუშავების საფუძველს წარმოადგენს თანხმობა GDPR-ის 6(1)(a) ან 9(2)(a) მუხლის შესაბამისად ან კონტრაქტი 6(1)(b) მუხლის შესაბამისად და
- დამუშავება ხდება ავტომატიზებული საშუალებებით.

მონაცემთა პორტატიულობის უფლების გამოყენებისას თქვენ გაქვთ უფლება, რომ უშუალოდ ჩვენგან მოხდეს თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა სხვა მაკონტროლებლისთვის, თუ არსებობს ამის ტექნიკური შესაძლებლობა.

6. გაპროტესტების უფლება GDPR-ის 21-ე მუხლის შესაბამისად

GDPR-ის 21(1) მუხლის მოთხოვნების დაცვის პირობით, თქვენ შეგიძლიათ გააპროტესტოთ მონაცემთა დამუშავება თქვენს კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული საფუძვლით.

ზემოაღნიშნული გაპროტესტების ზოგადი უფლება ვრცელდება GDPR-ის 6(1)(f) მუხლის შესაბამისად დამუშავების ყველა საფუძველზე, რომელიც აღნიშნულია ამ კონფიდენციალურობის დებულებაში. სარეკლამო მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების გაპროტესტების კონკრეტული უფლებისგან განსხვავებით, ჩვენ ვალდებულები ვართ აღვასრულოთ გაპროტესტების ასეთი ზოგადი უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაასახელებთ უპირატესი მნიშვნელობის მქონე საფუძვლებს, მაგალითად, სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის რისკის არსებობას. გარდა ამისა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საზედამხედველო ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია Lidl Stiftung & Co. KG-ზე, ან Lidl Stiftung & Co. KG-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს (იხილეთ ნაწილი IV.4).

7. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება GDPR-ის 77-ე მუხლის შესაბამისად

თქვენ ასევე გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს შეიტანოთ საჩივარი მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ ორგანოში. ამისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გერმანიის იმ მხარეში, სადაც ცხოვრობთ, ან ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში, სადაც მდებარეობს Lidl Stiftung & Co. KG-ის სათაო ოფისი.

8. თქვენი უფლებების გამოყენება

<u>საკონტაქტო დეტალები კითხვების შემთხვევაში ან თქვენი მონაცემთა დაცვის უფლებების გამოსაყენებლად</u>

თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თქვენი უფლებების გამოსაყენებლად (მონაცემთა დაცვის უფლებები) გთხოვთ, დაუკავშირდეთ Lidl-ის მომხმარებელთა მომსახურების სამსახურს:

https://www.lidl.de/contact

9. მაკონტროლებელი და მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ეს კონფიდენციალურობის დებულება ვრცელდება მონაცემების დამუშავებაზე Lidl Stiftung & Co. KG-ის მიერ, მის.: Stiftsbergstraße 1, 74167 Neckarsulm, Germany („მაკონტროლებელი“) და ვებსაიტზე www.info.lidl.

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მაკონტროლებელს მისამართზე corporate.communications.international@lidl.com. www.info.lidl ვებსაიტის მუშაობასთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვის შესახებ კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანია Lidl Stiftung & Co. KG-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე (მიმღები: მონაცემთა დაცვის ოფიცერი) ან მისამართზე datenschutz@lidl.com.